დელმორ შვარცი

პასუხისმგებლობა იწყება სიზმრებში

I

მგონი, 1909 წელია. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ კინოთეატრში ვარ, სინათლის გრძელი სვეტი სიბნელეს კვეთს და ტრიალებს. ეკრანს ვუყურებ. ეს უხმო ფილმია, ძველი ბიოგრაფიის მსგავსი. მსახიობებს სასაცილო, ძველმოდური ტანსაცმელი აცვიათ. ერთ კადრს უეცრად მეორე ცვლის. მსახიობებიც თითქოს ხტუნავენ და ზედმეტად სწრაფად დადიან. კადრები წერტილებითა და სხივებით არის სავსე, გეგონება, სურათის გადაღებისას წვიმდა. განათება არ ვარგა,

კვირა შუადღეა, 1909 წლის 12 ივნისი. დედაჩემის სანახავად მიმავალი მამაჩემი ბრუკლინის წყნარ ქუჩებს მიუყვება. ახლად დაუთოებული ტანსაცმელი აცვია – ჰალსტუხი მაღალ საყელოზე მჭიდროდ აქვს შემოჭერილი. მახვილგონივრულ სათქმელზე ფიქრისას ჯიბეებში მონეტებს აჩხრიალებს. ვგრძნობ, რომ თეატრის რბილ სიბნელეში უკვე მთლიანად მოვდუნდი; ორგანისტი მარტივ, ნაცნობ მუსიკას აჟღერებს, მაყურებელიც უნებურად ირხევა. მე ანონიმური ვარ, საკუთარი თავი დამავიწყდა. როდესაც კინოში მიდიხარ, ყოველთვის ასეა – როგორც ამბობენ, ნარკოტიკია.

მამაჩემი ქუჩებს კვეთს, ხეებს, გაზონებსა და სახლებს ჩაუვლის, დროდადრო გამზირზე გადის, სადაც ღრჭიალით მოსრიალე ტრამვაი ნელ-ნელა მიიწევს წინ. აპრეხილულვაშებიანი კონდუქტორი ახალგაზრდა ქალს ასვლაში ეხმარება. ქალს ბუმბულებით მორთული თასივით ქუდი ახურავს და საფეხურებზე ასვლისას კაბის გრძელ კალთებს ოდნავ იწევს. კონდუქტორი აუჩქარებლად უბრუნებს ხურდას და ზარს რეკავს. აშკარად კვირა დღეა, რადგან ყველას საკვირაო ტანსაცმელი აცვია. მანქანების ხმაური ხაზს უსვამს უქმეების სიმშვიდეს. განა ბრუკლინი ეკლესიების ქალაქი არ არის? ყველა მაღაზია დაკეტილია, ფარდები – ჩამოშვებული. მხოლოდ საკანცელარიო და აფთიაქი მუშაობს, რომელთა ვიტრინებშიც დიდი მწვანე ბურთები აწყვია.

მამაჩემს ამ გრძელი გზით წასვლა გადაუწყვეტია, რადგან სიარული და ფიქრი უყვარს. საკუთარ თავს მომავალში წარმოიდგენს და მსუბუქად აღელვებული დანიშნულების ადგილს მიადგება; უყურადღებოდ ჩაუვლის სახლებს, სადაც საკვირაო სადილს მიირთმევენ, თითოეული ქუჩის მოდარაჯე ხეებს, რომლებიც ახლა ბოლომდე იფოთლებიან და მალე მთელ ქუჩას გრილ ჩრდილში მოაქცევენ. დროდადრო ეტლი გაივლის, მშვიდი შუადღისას ცხენის ფლოქვები ქვასავით სცემს მიწას. ხანდახან კი უზარმაზარი ნაჭერგადაკრული ტახტის მსგავსი მანქანა ჩაივლის შიშინით.

მამა დედაჩემზე ფიქრობს, წარმოიდგენს როგორი სიამოვნებით წარუდგენდა მას ოჯახს. თუმცა, ჯერ კიდევ არ არის დარწმუნებული, რომ დაქორწინება სურს და ამ, უკვე დამყარებული კავშირით ხანდახან იზაფრება. უკვე დაქორწინებული დიადი კაცების გახსენებით იმშვიდებს თავს, მაგალითად, უილიამ რენდოლფ ჰერსტისა და უილიამ ჰოვარდ ტაფტის, რომელიც ახლახან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდა.

მამა დედაჩემის სახლში მიდის. ნაადრევად მისული უცაბედ უხერხულობას გრძნობს. დეიდაჩემი, დედაჩემის და, ხმამაღალ ზარს ხელსახოცით ხელში ეგებება – ოჯახი ჯერ კიდევ სადილობს. როცა მამა სახლში შედის, პაპაჩემი სუფრიდან დგება და ხელს ართმევს. დედას თავის მოსაწესრიგებლად ზემოთ აურბენია. ბებია მამას ეკითხება, უკვე თუ ისადილა და ეუბნება, რომ როუზი მალე ჩამოვა. პაპა საუბარს იწყებს – აღნიშნავს რომ ივნისის ამინდები რბილია. მამაჩემი მაგიდასთან ახლოს უხერხულად ზის, ხელში ქუდი უჭირავს. ბებია დეიდაჩემს ეუბნება, რომ მამას ქუდი გამორთვას. თორმეტი წლის ბიძაჩემი აწეწილი თმით სახლში შემორბის და მამაჩემს ხმამაღლა ესალმება. მამა ხშირად აძლევდა მას ხუთცენტიან მონეტას. შემდეგ ბიძაჩემი ზემოთ არბის. აშკარაა, რომ პატივისცემა, რომლითაც მამაჩემს ამ ოჯახში ეპყრობიან, დიდ მხიარულებასთან არის შეზავებული – შთამბეჭდავი კაცია, მაგრამ ძალიან ტლანქი.

II

ბოლოს მორთულ-მოკაზმული დედა ჩამოდის კიბეზე. მამა, პაპასთან საუბრითაა გართული და ღელვას იწყებს – არ იცის, დედას მიესალმოს თუ საუბარი განაგრძოს. მოუხერხებლად დგება სკამიდან და პირქუშად ამბობს: „გამარჯობა“. პაპაჩემი კრიტიკული თვალით უყურებს, ამოწმებს, რამდენად შესაფერისი წყვილია. ამ დროს, როგორც ყოველთვის, ფიქრისას, წვერიან

ლოყას უხეშად იფხანს. შეწუხებულია, ეშინია, რომ მამა მისი უფროსი ქალიშვილის ქმრად ვერ ივარგებს. სწორედ მაშინ, როცა დედა მამას რაღაც სასაცილოს ეუბნება, ფილმს რაღაც ემართება. ზუსტად იმ დროს გამოვფხიზლდი, ამბავში რომ ვერთვებოდი – საკუთარ თავს და ჩემს უბედურებას დავუბრუნდი. მაყურებელი მოუთმენლად იწყებს ტაშის დაკვრას. პრობლემა მოგვარდა, მაგრამ ფილმი ცოტა ხნის წინ უკვე ნანახ მონაკვეთზე დაბრუნდა. მე კიდევ ერთხელ ვხედავ პაპას, რომელიც წვერიან ლოყაზე ხელს ისვამს და მამაჩემის ხასიათზე ფიქრობს. რთულია, კვლავ დავუბრუნდე სურათს და დავივიწყო საკუთარი თავი, მაგრამ როცა დედაჩემი მამაჩემის სიტყვებზე კისკისებს, სიბნელე შთანმთქავს.

ჩემი მშობლები სახლიდან გადიან. რაღაც გაურკვეველი უხერხულობის გამო, მამა დედას ხელს კიდევ ერთხელ ართმევს. მეც, კინოთეატრის უხეშ სკამში მოკუნტული, უხერხულად ვიშმუშნები. სად არის უფროსი ბიძა, დედაჩემის უფროსი ძმა? საძინებელში, ნიუ-იორკის კოლეჯის საბოლოო გამოცდისთვის ემზადება. ის სწრაფად გართულებული პნევმონიის გამო 20 წლის წინ გარდაიცვალა. დედა და მამა კიდევ ერთხელ მიუყვებიან იგივე ჩუმ ქუჩებს. დედას მამაჩემის მკლავზე ხელი უკიდია და უამბობს ნოველაზე, რომელსაც ახლა კითხულობს. სიუჟეტში გარკვევისას მამა პერსონაჟების განსჯას იწყებს. ეს მისი საყვარელი ჩვევაა, რადგან როცა სხვა ადამიანების ქცევას იწონებს ან კიცხავს, თავდაჯერებულობა ემატება და საკუთარ უპირატესობასაც გრძნობს. ხანდახან ემოცია სძლევს და მოკლე „უჰ“ აღმოხდება. ეს მაშინ ხდება, როდესაც, როგორც თავად ამბობს, სიუჟეტი დატკბება ხოლმე. ამ ქცევით ის ხარკს უხდის ვაჟკაცობას. დედა კმაყოფილია, რომ მამას ინტერესი გაუღვიძა; ამით მამაჩემს აჩვენებს, როგორი საინტერესო და გონიერია თვითონ.

გამზირს მიაღწევენ და ზანტი ტრამვაიც გამოჩნდება. ამ საღამოს კონი აილენდზე მიდიან, თუმცა დედაჩემს მიაჩნია, რომ იქაური გართობის წესი მდარეა. გადაწყვეტილი აქვს, მხოლოდ სანაპიროზე გასეირნებით და სასიამოვნო ვახშმით შემოიფარგლონ, თავი აარიდონ ხმაურიან დროსტარებას, რადგან ეს ასეთ ღირსეულ წყვილს არ შეეფერება.

მამა დედას უყვება, რამდენი ფული იშოვა გასულ კვირას. საჭირო არ არის, მაგრამ შემოსავლის ოდენობას აზვიადებს. მამაჩემი ყოველთვის გრძნობდა, რომ რეალობა რატომღაც ვერ უტოლდებოდა მის წარმოდგენებს. უცებ ტირილს ვიწყებ. მკაცრი მოხუცი ქალი, რომელიც კინოთეატრში ჩემ გვერდით ზის, გაღიზიანებული და ბრაზიანი სახით მიყურებს, ამიტომ შიშით ვჩერდები. ცხვირსახოცს ვიღებ და სახეს ვიმშრალებ, ლოყაზე ჩამოვარდნილ ცრემლს

კი ვლოკავ. ამასობაში რაღაც გამომრჩა – აი, მამა და დედა უკვე ბოლო გაჩერებაზე, კონი აილენდზე ჩამოდიან.

III

ბულვარის ბილიკისკენ მიდიან. მამა დედას ეუბნება, რომ ზღვის მძაფრი ჰაერი ჩაისუნთქოს. ღრმად ჩაისუნთქავენ და ეცინებათ. ორივე დიდ ყურადღებას უთმობს ჯანმრთელობის საკითხს, მაგრამ მამა ძლიერი და ახოვანია, დედა კი – სუსტი. მათი გონება სასარგებლო და მავნე საკვების შესახებ თეორიებითაა სავსე და ხანდახან ამის გამო ცხარედაც კამათობენ, რაც მამაჩემის ქედმაღლური ქადილით სრულდება: ადრე თუ გვიან მაინც მოკვდებით. ბულვარის სასიგნალო ანძაზე დამაგრებულ ამერიკის დროშას ზღვიდან მონაბერი წყვეტილი ქარი აფრიალებს.

მამა და დედა ბულვარის მოაჯირისკენ მიდიან. სანაპიროს გადახედავენ, სადაც უამრავი ადამიანი უდარდელად სეირნობს; ნაწილი ტალღებშია შესული. მიწის თხილის გამყიდველი ჰაერს სასიამოვნო და ცოცხალი სტვენით კვეთს. მამა სწორედ მიწის თხილის საყიდლად მიემართება, დედა კი მოაჯირთან რჩება და ოკეანეს აშტერდება. ეჩვენება, რომ ოკეანე ხალისიანია, გამომწვევად ბრწყინავს და ზედიზედ პატარ-პატარა ტალღებს ათავისუფლებს. დედა ამჩნევს ბავშვებს, რომლებიც სველ ქვიშას თხრიან და აკვირდება მისი თანატოლი გოგოების საცურაო კოსტიუმებს. მამა მიწის თხილით ბრუნდება. მათ თავზე ელავს და ბრწყინავს მზე, მაგრამ ამას საერთოდ ვერ ამჩნევენ. სანაპირო სავსეა საკვირაო ტანსაცმელში გამოწყობილი უმიზნოდ მოსეირნე ხალხით. მოქცევა ბილიკამდე არ აღწევს და რომც აღწევდეს, მოსეირნეები საფრთხეს ვერ იგრძნობდნენ. მამა და დედა მოაჯირს ეყრდნობიან და ოკეანეს გაფანტულად მისჩერებიან. ზღვა ღელვას იწყებს, ტალღები ოკეანის სიღრმეში იკრებენ ძალას და ნაპირს ნელა უახლოვდებიან; სანამ ამოტრიალდებიან, მათი ზედაპირი იდრიკება, რაც სიშავის შუაგულში თეთრ-მწვანე ძარღვებს აჩენს – ეს წამი აუტანელია. ბოლოს ტალღები იმსხვრევა, ქვიშას მძვინვარედ, მთელი ძალით ენარცხება, წინ და მაღლა ხტება და წვრილ ნაკადად განილევა, სანაპიროსკენ მიქრის და შემდეგ ისევ უკან იხევს. ჩემი მშობლები განყენებულად უყურებენ ოკეანეს და მისი პირქუშობა დიდად არ ადარდებთ, მაღლა მზე არ აწუხებთ. მე კი საშინელ მზეს ვაჩერდები, მხედველობას რომ არღვევს, ვუყურებ საბედისწერო, დაუნდობელ და ვნებიან ოკეანეს. მშობლები მავიწყდება. მოჯადოებული ვუცქერ და ბოლოს,

მშობლების გულგრილობით გაოგნებული, ისევ მოთქმას ვიწყებ. გვერდით მჯდომი მოხუცი ქალი მხარზე ხელს მისვამს და ამბობს: „კარგი, კარგი, ეს მხოლოდ ფილმია, ყმაწვილო, მხოლოდ ფილმია“. მაგრამ მე კიდევ ერთხელ ვუყურებ თავზარდამცემ მზესა და ზღვას, ცრემლებს ვერ ვიკავებ და ტუალეტში გავდივარ. ვბორძიკობ, ჩემს რიგში მსხდომი ხალხის ფეხებს ვეჯახები.

IV

დაბრუნებული თავს ისე ვგრძნობ, თითქოს გამოუძინებელს გამღვიძებოდეს. აშკარაა, რომ რამდენიმე საათი გასულა და ჩემი მშობლები ახლა კარუსელზე სხედან: მამა შავ, დედა კი – თეთრ ცხენზე. თითქოს უსასრულო წრეში ერთადერთი მიზნით ჩაბმულან – ცდილობენ მისწვდნენ ნიკელის რგოლებს, რომლებიც ერთ-ერთი სვეტის მკლავზეა მიმაგრებული. ორგანი უკრავს და მისი ხმა კარუსელის უწყვეტ ბრუნვას ერწყმის.

წამით მეჩვენება, რომ კარუსელიდან ვერასდროს ჩამოვლენ, რადგან არასდროს გაჩერდება. თავს ისე ვგრძნობ, გეგონება გამზირს 50-სართულიანი შენობიდან ვუყურებდე. მაგრამ საბოლოოდ ისინი კარუსელიდან ჩამოდიან. ორგანიც კი ჩერდება ამ წამს. მამამ ათი რგოლი მოიპოვა, დედამ კი – მხოლოდ ორი, თუმცა რგოლები სინამდვილეში დედას უნდოდა.

ისინი ბულვარის გასწვრივ აგრძელებენ სეირნობას. შუადღე შეუმჩნევლად ეშვება ბინდის წარმტაც იისფერში. ყველაფერი ნაზ ნათებაში ხუნდება: პლაჟიდან მომავალი დაუსრულებელი ჩურჩულიც და კარუსელის ამბოხიც. სავახშმოდ ადგილს ეძებენ. მამა დედას ბულვარის საუკეთესო ადგილს სთავაზობს, მაგრამ ის საკუთარი პრინციპების შესაბამისად ყოყმანობს.

მაინც საუკეთესოს ირჩევენ. ფანჯარასთან მდგომ მაგიდას ითხოვენ, რომ ცვალებად ოკეანესა და სანაპიროს უყურონ. როცა მაგიდის შერჩევისას ოფიციანტს ხელში ოცდახუთ ცენტს უდებს, მამა თავს ყოვლისშემძლედ გრძნობს. ადგილი გადაჭედილია და მუსიკა აქაც ჟღერს, ამჯერად სიმებიანი ტრიოს მსგავსი. შეკვეთის მომენტში მამაჩემი ძალიან თავდაჯერებულია.

ვახშმისას მამა თავის სამომავლო გეგმებზე საუბრობს. სახის გამომეტყველებით დედა მას აჩვენებს, რომ საუბრის თემა ძალიან აინტერესებს და მონუსხულია. მამა აღტაცებაში მოდის,

ვალსის ხმა განწყობას უმაღლებს და საკუთარი მომავლით თრობას იწყებს. დედას ეუბნება, რომ ბიზნესის გაფართოებას აპირებს, რადგან ბევრი ფულის შოვნაა შესაძლებელი. მას დაბინავება სურს. ბოლოს და ბოლოს, უკვე ოცდაცხრა წლისაა, ცამეტი წლიდან დამოუკიდებლად ცხოვრობს, სულ უფრო მეტ ფულს შოულობს და როცა თვალწარმტაცი ბავშვებით და მშვიდი ოჯახური სიაამეებით გარშემორტყმული, დაქორწინებული მეგობრების მყუდრო, დაცულ სახლებს სტუმრობს, შურს მათი.

ვალსის იმ მომენტში, როცა ყველა მოცეკვავე გიჟურად ბზრიალს იწყებს, მამა არნახულ გამბედაობას იკრებს და დედას ცოლობას სთხოვს. თუმცა ამ მღელვარებაშიც საკმაოდ მოუქნელია – დაბნეულია და ვერ ხვდება, როგორ მივიდა ხელის თხოვნამდე. დედა კი მდგომარეობის კიდევ უფრო დასამძიმებლად ტირილს იწყებს. მამა ნერვიულად აცეცებს თვალებს და არ იცის, რა გააკეთოს. დედაჩემი ქვითინით ამბობს: „შენი დანახვის წუთიდან მხოლოდ ეს მინდოდა.“ მამაჩემს ძალიან უჭირს, ეს ამბავი მის გემოვნებას არ შეესაბამება, არც იმ სცენარს, ბრუკლინის ხიდზე ჩინებული სიგარით ხელში ხანგრძლივი სეირნობისას რომ წარმოიდგენდა ხოლმე. სწორედ ამ დროს, წამოვდექი და ვიყვირე: „ეს არ ქნათ! ჯერ არ არის გვიან! შეგიძლიათ გადაიფიქროთ! ორივემ! ამ საქმიდან კარგი არაფერი გამოვა, მხოლოდ სინანული, სიძულვილი, სკანდალი და ორი საშინელი ხასიათის შვილი“. მთელი აუდიტორია ჩემკენ მოტრიალდა და გაღიზიანებულმა შემომხედა. კაპელდინერი ფანარს ანათებს და დერეფანში სწრაფად ჩამორბის, მოხუცი ქალბატონი კი სკამისკენ მექაჩება და მეუბნება: „გაჩუმდი. გაგაძევებენ. აქ შემოსვლისთვის ხომ ოცდათხუთმეტი ცენტი გადაიხადე“. თვალები დავხუჭე, ვეღარ ვუძლებდი იმის ყურებას, რაც ხდებოდა. ჩუმად დავჯექი.

V

თუმცა ცოტა ხნის შემდეგ ნელ-ნელა ისევ გავაპარე თვალი და საბოლოოდ მოწყურებულმა გავაგრძელე ყურება – იმ ბავშვივით, კანფეტებით რომ თაფლავენ, თვითონ კი გაბუტვას ვერ თმობს. ჩემი მშობლები სანაპიროზე, ფოტოგრაფის ჯიხურში იღებენ სურათს. ადგილი იისფერი შუქით არის განათებული, რაც, როგორც ჩანს, აუცილებელია. განაპირას მდგომი სამფეხიანი კამერა უცხოპლანეტელს ჰგავს. ფოტოგრაფი მშობლებს პოზას კარნახობს. მამას დედაჩემისთვის მხარზე მოუხვევია ხელი და ორივე გრძნობით იღიმება. ფოტოგრაფს დედაჩემისთვის ყვავილების თაიგული მოაქვს. დედამ თაიგული ხელში უნდა დაიჭიროს,

მაგრამ არასწორი კუთხით იჭერს. შემდეგ ფოტოგრაფი თავზე შავ ქსოვილს იფარებს, რომელიც კამერასაც მალავს. მხოლოდ გამოწეული მკლავი და ხელის მტევანი ჩანს. ხელში რეზინის ბურთი უჭირავს, რომელსაც ფოტოს გადაღებისას მუშტში მოჭმუჭნის. მაგრამ ფოტოგრაფი უკმაყოფილოა ჩემი მშობლების შესახედაობით. დარწმუნებით გრძნობს, რომ მათ პოზაში რაღაც რიგზე ვერ არის. დაფარული ადგილიდან ახალ-ახალ განკარგულებებს გასცემს. ყველა რჩევა საქმეს აუარესებს. მამაჩემი მოთმინებას კარგავს. მჯდომარე პოზას მოსინჯავენ. ფოტოგრაფი უხსნის, რომ მას ღირსება აქვს და ამ საქმეში ფულზე მეტად ლამაზი ფოტოების გადაღება აინტერესებს. მამა ამბობს: „იჩქარე კარგი? მთელ ღამეს აქ ვერ გავატარებთ.“ მაგრამ ფოტოგრაფი ფაციფუცით იბოდიშებს და ახალ მითითებებს იძლევა. მე ფოტოგრაფი მხიბლავს. მას მთელი გულით ვეთანხმები, რადგან ზუსტად ვიცი, როგორ გრძნობს თავს. მას სისწორის შესახებ საკუთარი, უცნობი წარმოდგენა აქვს და პოზის ყოველ ცვლილებას ამ წარმოდგენის მიხედვით განსჯის, რაც მე იმედს მაძლევს. თუმცა მამაჩემი გაბრაზებული ამბობს: „მიდი, უკვე, საკმარისი დრო გქონდა, მეტს ვეღარ მოვიცდით“. ფოტოგრაფი უკმაყოფილოდ ოხრავს, შავი ნაჭრის ქვეშ ბრუნდება, ხელს შლის და ამბობს: „ერთი, ორი, სამი, ახლა!“ სურათი გადაღებულია. მამას ღიმილი მანჭვად იქცა, დედაჩემის კი – გაბრწყინებული და ყალბია. ფოტოს გამჟღავნებას რამდენიმე წუთი სჭირდება. უჩვეულო შუქში მსხდომი ჩემი მშობლები ითრგუნებიან.

VI

მკითხავის ჯიხურს ჩაუვლიან. დედას შესვლა უნდა, მამას კი – არა. დედა ჯიუტდება, მამა კიდევ ერთხელ კარგავს მოთმინებას და კამათს იწყებენ. მამას სურს, რომ იქაურობას გაეცალოს, დედა მიატოვოს, მაგრამ იცის, რომ ასე არ გამოვა. ცრემლმორეული დედა ადგილიდან არ იძვრის. გრძნობს, რომ მკითხავის მოსმენის სურვილს ვერ ეწინააღმდეგება. მამა ბრაზით თანხმდება და ორივე ჯიხურში შედის, რომელიც რაღაცით ფოტოგრაფისას ჰგავს – შავ ქსოვილშია გახვეული და შუქი აქაც დაჩრდილულია. ძალიან თბილა. მამაჩემი გამუდმებით იმეორებს, რომ ეს ყველაფერი სისულელეა და თან მაგიდაზე მოთავსებულ ბროლის ბურთზე მიუთითებს. მკითხავი შესაფერის აღმოსავლურ ხალათში გამოწყობილი დაბალი, მსუქანი ქალია. ის ოთახში უკნიდან შემოდის და ჩემს მშობლებს ესალმება. აქცენტით საუბრობს. მამა უცბად გრძნობს, რომ ეს ყველაფერი აუტანელია. დედაჩემს ექაჩება, მაგრამ ის ადგილიდან არ იძვრის. ბოლოს მამა საშინელი ბრაზით უშვებს ხელს, გარეთ გადის და თავზარდაცემულ

დედას ტოვებს, რომელიც აპირებს, რომ მამას გაეკიდოს, მაგრამ მკითხავი მის მკლავს მაგრად ეჭიდება და ევედრება, ასე არ მოიქცეს. მე ჩემს სკამზე გამოუთქმელად შეძრწუნებული ვზივარ. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ცირკის მაყურებლის თავზე, ასი ფუტის სიმაღლეზე მოჭიმულ ბაგირზე დავდიოდე, რომელიც უცებ წყვეტას იწყებს. ადგილიდან ვდგები, თავში მოსულ ყველა სიტყვას ვყვირი – ასე გამოვხატავ საზარელ შიშს. დერეფანში ისევ კაპელდინერი მოიჩქარის და ისევ ფანარს ანათებს, მოხუცი ქალბატონი ისევ მევედრება. აღშფოთებული აუდიტორია ჩემკენ ტრიალდება. მე კი ყვირილს ვაგრძელებ: „*რას აკეთებენ? განა არ იციან, რას აკეთებენ? რატომ არ მიჰყვება დედა მამას? ამას თუ არ გააკეთებს, რა უნდა ქნას? განა მამამ არ იცის, რას შვება?*“ მაგრამ კაპელდინერი ხელში ჩამაფრინდა, მიმათრევს და თან ამბობს: „*რას აკეთებ? არ იცი, რომ რაც მოგეპრიანება, იმას ვერ იზამ? რატომ უნდა აწყობდეს ასეთ ისტერიკას შენნაირი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც მთელი ცხოვრება წინ აქვს? რატომ არ უფიქრდები შენს საქციელს? სხვაც რომ არ იყოს გარშემო, ასე მოქცევა არ შეიძლება! ინანებ, სათანადოდ თუ არ მოიქცევი. ასე ვერ გააგრძელებ, ეს არ არის სწორი, მალე მიხვდები, რომ ყველაფერს, რასაც აკეთებ, დიდი მნიშვნელობა აქვს.*“ თეატრის ფოიეს გავლით, ცივ შუქზე გამათრია. მეღვიძება, ზამთრის უფერული დილაა, ჩემი ოცდამეერთე დაბადების დღე. ფანჯრის რაფაზე თოვლი ბრწყინავს, დილა დაწყებულია.